თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს „რეზონი” (ს/კ № 203822220) მისი დირექტორის რეზო რაზმაძის (პირადი № 01007005276) სახით, თანახმაა, რომ შპს „რეზონი”-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3/ქ. თბილისი, ვ. ნინუას ქ. № 3/ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3 (ს/კ № 01.12.12.001.149) მეზობლად არსებულმა შპს „ჰაიდელბერგ ჯორჯია”-მ (ს/კ 204565274) თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3/ქ. თბილისი, ვ. ნინუას ქ. № 3/ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 3 (ს/კ № 01.12.12.001.148), შენობა-ნაგებობაზე აშენებისას შპს „რეზონი”-ს უძრავი ქონების მხარეზე გაჭრას ფანჯრები და დააშენოს ტერასა.

შპს „რეზონი”-ს დირექტორი ---რეზო რაზმაძე---

ორიათას თხუთმეტი წლის ორ მაისს, მე ნიკოლოზ მალაშხიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა რეზო რაზმაძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს „რეზონი”-ს (ს/კ № 203822220) დირექტორი. მან წარმოადგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: რეზო რაზმაძე – დაბადებული 08. 04. 1958წ., პირადი № 01007005276, მცხ. ქ. თბილისი, წყნეთის გზატ. № 16/18 სახლების ადგილზე, ბ. 45. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე, მის შინაარსზე და ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 სამი ეგზ. გადახდილია 6.0 ლარი და მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 8.0 ლარი.

ნოტარიუსი

საქართველო. ნოტარიუსი ნიკოლოზ მალაშხია * GEORGIA. NOTARY NIKOLOZ MALASHKHIA * НОТАРИУС МАЛАШХИЯ НИКОЛАЙ ГРУЗИЯ * 62004000581 *

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150436684
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.05.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნიკოლოზ მალაშხია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2377321; მობ: 599561242
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82726605623115

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18